ბუნებრივი გარემოს ელემენტების ტურისტული პოტენციალი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

სანდრო გოგოლაძე

ელ-ფოსტა: sandro.gogoladze467@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

საქართველო ერთ-ერთი უნიკალური და მიმზიდველი ადგილია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მისი მთავარი მიმზიდველობა მცირე ფართობზე წარმოდგენილი მრავალფეროვანი ლანდშაფტებია. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს გლობალურმა პანდემიამ, რომელიც ახლაც მძვინვარებს, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ტურიზმის დარგზე მთელს მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოშიც, ტურიზმი მაინც რჩება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემოს სვანეთის მხარე ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სიმდიდრეა. იგი ტურისტული სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს. რეგიონის ცენტრია ქ. ამბროლაური. სწორედ, ქ. ამბროლაური და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს.

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია საველე კვლევის საფუძველზე, რომელიც გაიმართა 2020 წლის 1-დან 10 აგვისტოს ჩათვლით ქ. ამბროლაურში.

ნაშრომში განხილულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, კონკრეტულად, ქ. ამბროლაურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, არსებული ბუნებრივი გარემოს ის ელემენტები და ობიექტები, რომლებიც ხელს შუწყობს აღნიშნულ მუნიციპალიტეტში ტურიზმის დარგის განვითარებას და პოპულარიზაციას.